legal aid service
Digitally signed by legal aid service
Date: 2019.07.19 19:18:11 +04'00'

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№01/02-03-129

თბილისი **- 19 – ივლისი - 2019 წელი**

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.3 „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.4 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ – სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური, წარმოდგენილი მისი დირექტორის **რაჟდენ კუპრაშვილის** სახით (შემდგომში „შემსყიდველი");
მეორეს მხრივ – **შპს „თეგეტა მოტორსი",** წარმოდგენილი მისი სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის **მიხეილ ვაშაკიძის** (ბრძანება №152, 01.07.2019 წელი) სახით (შემდგომში „მიმწოდებელი").

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სხვადასხვა სახის საქონლის შესყიდვა დანართი №1-ში მითითებული კონკრეტული პოზიციებისა და რაოდენობების შესაბამისად (დანართი №1 თან ერთვის აღნიშნულ ხელშეკრულებას და ითვლება მის განუყოფელ ნაწილად).

<u>გამარტივებული შესყიდვა -"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტის და შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 25 ივნისის №LA 11900016580 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.</u>

- **(CPV – 34928470); (CPV – 33141623); (CPV – 35111300).**

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს **1508.00 (ათას ხუთას რვა)** ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.
4.2. შესასყიდი საქონლის ერთეულის ღირებულებები მითითებულია დანართი №1-ში.

<u>დაფინანსების წყარო:</u> 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს
3.1. მუხლით გათვალისწინებული საქონელი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში; იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე.
5.2.შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის ღირებულება.
5.3.მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში დროებით, უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს და დაუმონტაჟოს შემსყიდველს სათანადო ხარისხისა და რაოდენობის ქაღალდის დისპენსერები.
5.4.შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.
5.5.შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1.საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1.მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე, ასევე შესყიდვის ობიექტის ხარისხზე შემსყიდველის მხრიდან კონტროლს განახორციელებს, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზუნველყოფის სამმართველოს სამეურნეო უზრუნველყოფის სპეციალისტი **ივანე ლუაშვილი.**

7.2.9.2 პუნქტის შესრულებისათვის, წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის სისრულეზე და რეალობაზე პასუხისმგებელია 7.1. პუნქტში მითითებული პირი.

8. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

8.1.მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი იქნება ახალი, არ იქნება დაზიანებული (არ გამოავლენს ხარვეზებს) და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული, უვარგისი ან/და წუნდებული საქონლის შეცვლა ახლით შემსყიდველის მხრიდან შეტყობინების მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

8.2.მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული ქაღალდის დისპენსერის ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში (თუ ეს არ არის გამოწვეული მომხმარებლის განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით) შემსყიდველის მხრიდან შეტყობინების მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს ნაკლი ან შეცვალოს ნაკლის მქონე ქაღალდის დისპენსერი.

8.3.მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ახალი ქაღალდის დისპენსერ(ებ)ის დამატების საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველის მხრიდან შეტყობინების მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ახალი ქაღალდის დისპენსერ(ებ)ის დამონტაჟება.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2. ანგარიშსწორება მოხდება ერთიანად, ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, „მიღება-ჩაბარების“ აქტ(ებ)ის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში.

10.4 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

11. უფლებების გადაცემა

11.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12.4 ფორს-მაჟორული პირობების გათვალისწინება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

13.1 მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.1. 8.1. 8.2. ან/და 8.3. პუნქტებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ყოველ კონკრეტულ ფაქტზე დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02% ოდენობით.

13.2 პიგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 9.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია ყოველ კონკრეტულ ფაქტზე დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0.02%-ის ოდენობით.

13.4 იმ შემთხვევაში თუ 13.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს შემსყიდველ ორგანიზაციას აქვს უფლება ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადების მიცემის გარეშე ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.5 მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

14.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ 10 (ათი) დღით ადრე.

14.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დარჩენილი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

15. დავების გადაწყვეტის წესი

15.1 მხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

15.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

16.1 მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

16.2 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2019 წლის 27 აგვისტოს ჩათვლით.**

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ელექტრონულად.

<u>შემსყიდველი:</u>

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური

დირექტორი:

_____

/ რაჟდენ კუპრაშვილი /

თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №140ა.
ტელ.: (+995 32) 292-00-55.

საქ/ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ს/კ 204534058

კოდი TRESGE22

ა/ა 707847519

<u>მიმწოდებელი:</u>

შპს „თეგეტა მოტორსი“

სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი:

Tegeta Motors LLC Digitally signed by Tegeta Motors LLC

_____

/მიხეილ ვაშაკიძე/

მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ №5
ს/კ: 202177205
ტელ: 595338039
საბანკო რეკვიზიტები:
სს „თიბისი ბანკი“
კოდი: TBCBGE22
ანგ. № GE80 TB 0600 0000 2446 7853

დანართი N1

N	შესყიდვის ობიექტი	CPV	განზ. ერთ.	რ–ობა	ერთ. ფასი	საერთო ფასი
1	უსაფრთხოების სამკუთხედი	34928470	ცალი	26	13.00	338.00
2	პირველადი დახმარების ნაკრები	33141623	ცალი	26	17.00	442.00
3	ცეცხლმაქრი 1(კგ)	35111300	ცალი	26	28.00	728.00
					ჯამი:	1508.00

ჯამი: 1508.00 (ათას ხუთას რვა) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

<u>შემსყიდველი:</u>

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური

დირექტორი:

_____

/ რაჟდენ კუპრაშვილი /

<u>მიმწოდებელი:</u>

შპს „თეგეტა მოტორსი“

სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი:

_____

/მიხეილ ვაშაკიძე/